ლიდერი

საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო, სამკერვალო „**ლიდერი**“ 2016 წელს დაარსდა ქ. გორში. საწარმოს საქმიანობა ვრცელდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე და მისი **სოციალური მისიაა** შიდა ქართლში მცხოვრები, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული პირი, შშმ პირი, ძალადობის მსხვერპლი და ა.შ.) წარმო-მადგენელ ქალთა გაძლიერება ახალი პროფესიის ათვისებითა და დასაქმების ხელშეწყობის გზით.
„ლიდერი“ ერთ-ერთი პირველია რეგიონში, რომელმაც შეიმუშავა ტექსტილის ნარჩენების გადამუშავების სტრატეგია. სამკერვალო ნარჩენების ხელმეორედ გამოყენებით ქმნის სხვადასხვა პროდუქციას და ხელმძღვანელობს ნულოვანი ნარჩენის პოლიტიკით.

პროდუქცია

2019 წლიდან სოციალურმა საწარმომ დაიწყო ბავშვის სამოსის წარმოება. მისი ხაზი „Leader Kids“, დახვეწილი დიზაინითა და სასიამოვნო ფერთა სინთეზით ქმნის 2-12 წლის ბავშვის ტანსაცმელს.

ტანსაცმელი მზადდება ბუნებრივი მასალისაგან, ხოლო სამოსზე დატანილი დაქარგული გამოსახულებები შემეცნებით ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას.

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი 26 ქალი, მათ შორის 1 შშმ პირი
- გადამზადებულია და ახალი პროფესია ათვისებული აქვს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელ 214 ქალს, საიდანაც 86 უკვე დასაქმებულია (ნაწილი - ლიდერსა და სხვა ფაბრიკაში; უმრავლესობა კი თვითდასაქმებულია)
- საწარმოს ფინანსური ხელშეწყობით, 3 ახალგაზრდას დაუფინანსდა უნივერსიტეტში სწავლის გადასახადი

https://lemo.ge/

+995 595 908 691

leaderkids.ge@gmail.com

https://www.facebook.com/sewingleader

https://www.facebook.com/LeemoGeorgia

გორი, სუხიშვილის ქ. #1